CV
კალენდარული ავტობიოგრაფია

ლევერი გიორგის ასული ქადაგიშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), ვ.ვ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის "სტოქასტურ მოვლენათა მართვის მათემატიკური მოდელირების" განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

1969 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტი სპეციალობით "ფიზიკოს-კიბერნეტიკოსი," ვიწრო სპეციალობით "ბიოკიბერნეტიკოსი." განაწილებით მუშაობა დავიწყე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე აკადემიკოს ვლ. ჭავჭანიძის ლაბორატორიაში სახეთა ამოცნობის მიმართულებით. 1984-1990 წლებში ვმუშაობდი ნ. ტყემალაძის განყოფილებაში იგივე მიმართულებით. ხოლო 1990-2003 წლებში ვმუშაობდი აკადემიკოს გურამ ხარატიშვილის განყოფილებაში. 2003 წლიდან დღემდე ვმუშაობ "სტოქასტური ანალიზისა და მათემატიკური მოდელირების" განყოფილებაში, ხელმძღვანელი ფ.მ.მ. დოქტორი ზურაბ ფირანაშვილის განყოფილებაში.

1992 წელს გავხდი საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ივ. ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით (ბიოენერგოინფორმაციის განყოფილებაში).

აკადემიკოს ივ. ფრანგიშვილის უშუალო ხელშეწყობითა და ხელმძღვანელობით, აკადემიკოს ვლ. ჭავჭანიძესთან ერთად, საშუალება მომეცა დამეცვა დისერტაცია.

2003 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია – "ბუნებრივი და ხელოვნური ინფორმაციული სისტემების კვადრიხეებით წარმოდგენის მოდელები" – აკადემიკოს ვლ. ჭავჭანიძის ხელმძღვანელობით.

2003 წლის 01. 01 გამიგრძელდა იგივე თანამდებობა, რაც კიბერნეტიკის ინსტიტუტში მოსვლიდან მქონდა.

2006 წლის 11. 06 გადამიყვანეს წამყვანი ინჟინრის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დადგენილებით, 2006 წლის 31 დეკემბრამდე მიღებული და საქართველოში აღიარებული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი ავტომატურად გათანაბრდა დოქტორის აკადემიურ ხარისხთან.

2006 წლის 31 დეკემბრიდან ვარ ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

2007 წლის 21 ნოემბერს ამირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

2009 წლის 11 თებერვალს ჩატარებული კონკურსის შედეგების საფუძველზე არჩეული ვიყავი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე 3 (სამი) წლის ვადით.

2011 წლის 15 აგვისტის ინსტიტუტში ჩატარებული კონკურსის შედეგების საფუძველზე დავინიშნე უფროს მეცნიერ-თანამშრომლად სამი წლის ვადით.

2011 წლის 23 სექტემბერს საქართველოს საინჟინრო აკადემიაში ამირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

დღემდე გამოქვეყნებული მაქვს 92 სამეცნიერო ნაშრომი, ამასთან ბოლო სამი წლის განმავლობაში 12 სამეცნიერო სტატია. გამოცემული მაქვს 3 მონოგრაფია:

1. "აღქმის სიღრმე და მანქანური კოდირება", გამომცემლობა "მეცნიერება," თბილისი, 1993 წ.
2. "სახეთა გამოცნობის ინფორმაციული სისტემა (კვადრიხეების მეთოდის გამოყენებით)," გამომცემლობა "მეცნიერება," თბილისი, 2001 წ.
3. "არაცნობიერი ფსიქიკური კიბერნეტიკულ პრიზმაში," საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001წ.

გამოსაქვეყნებლად მზად მაქვს და ეკონომიური მდგომარეობის გამო ვერ ვაქვეყნებ:

1. "ინტუიცია მართვა-თვითმართვა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში." წიგნი რეცენზირებულია და რედაქტირებული. წიგნი მზად იყო "ინფორმატიკის, ავტომატიკის და მართვის სერიით" – სერიის რედაქტორი აკადემიკოსი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი ივ. ფრანგიშვილი, რედაქტორი აკადემიკოსი ვლ. ჭავჭანიძე, რეცენზენტები: აკადემიკოსი შ. ნადირაშვილი და საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი კ. კამკამიძე.
2. "სახეთა ამოცნობა განსაზღვრულობიდან განუსაზღვრელობამდე, ანუ აღქმა დროსა და სივრცეში" მზადაა გამოსაცემად, არაა რეცენზირებული.
3. "მრავალკრიტერიუმიან ინფორმაციულ სისტემებში ოპტიმალური მართვის მათემატიკური მოდელირება სტოქასტური მოვლენებისათვის საბაზრო ეკონომიკის მაგალითზე." – დასაბეჭდად მზად არის. წარდგენილი იყო გრანტზე ჩემი ხემძღვანელობით. გამსვლელ ქულას დააკლდა 0,5-ი (ეს შემთხვევითობაა).
4. "ბიოენერგოინფორმაციულ სტოქასტური მოვლენების ევრისტიკული ძიება." წიგნი მზად არის დასაბეჭდად.
5. "ენერგოინფორმაციულ კონცეპტუალურ სისტემებში ევრისტიკული მოდელირება". მიმდინარეობს მუშაობა.

2013-2014 წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის №37-13 გრანტის "კვანტური თერაპიის პორტატიული უნივერსალური ხელსაწყო - აპარატი "ბიომეტრი"-ს მონაწილე ვარ.

ამჟამად, 1966 – სტუდენტობიდან დღემდე ვაგრძელებ სამეცნიერო კვლევებს სახეთა ამოცნობის მიმართულებით.

CV l.kadagishvili 01008039683 i.javakhishvili 59001004998

კალენდარული
ავტობიოგრაფიის
ავტორი ლ. ქადაგიშვილი